Nino Kapanadze
,,დოღი” *[Doghi]*
15.07 - 03.09,202

LC Queisser is pleased to present ,,დოღი” [Doghi], Nino Kapanadze’s first solo exhibition with the gallery The exhibition features a selection of recent paintings by Paris-based Georgian artist, including two diptychs completed under the Horserace series that emerged in 2021, reverberating in the titling of the show. In her signally observant painterly practice, Kapanadze cautiously draws upon visual and literary references ranging from ancient, classical, and modern art historical traditions to contemporary principles of image-making.

“...any time we decide to speak up and even more so to write down something, we risk sounding dumb,” writes the artist in her essay How To Draw A Horse, read in 2022 at the Foundation Pernod Ricard, Paris, in correspondence to Mark Strand’s interview statement with Karl Elder. For equivocal reasonings, one resorts to spelling out the concern-relevant subject matter in an almost primitive or Martha Roslerian monotonous temper when faced with phrenic exhaustion. Kapanadze’s monologue-style explanatory essay on how to draw a horse, or more so why to draw a horse, similarly finished with a chronological recital of all the equine phantoms - Assyrian horses, Lion Hunt of Ashurbanipal reliefs from Nineveh, Greek horses, Roman horses, Medieval horses, Early Renaissance horses, Uccello’s The Battle of San Romano, Late Renaissance horses, All the horses of George Stubbs, Eugène Delacroix’s Horse Frightened by Lightning, Edgar Degas’ Before the Race, and At the Races, Raoul Dufy’s Le Cavalier arabe, Erich Heckel’s Reiter, Apollon Kutateladze’s Battle of Queen Tamar, Susan Rothenberg’s horses - like an exorcism ahead of approaching the oldest artistic motif of human history.

Referred large-scale abstract paintings of Nino Kapanadze spell out Doghi in the latest Georgian script Mkhedruli [cavalry]. Initially utilized for secular writing as opposed to the two prior writing systems Asomtavruli and Nuskhuri, it derives from mkhedari, a native word for a horseman, and allows one to write in cursive or flowing looped manner. Kapanadze’s final rendering of the violent elegance of the animals witnessed in ceremonial horseraces, held annually in Iarajulebi (a village in the Caucasus mountains) in honor of the deceased with one riderless horse (consecrated to the late’s spirit), becomes mere lettering of დოღი. Barely suggesting the morphology and gait of a horse by hurried, rough lines, the symbolism embedded in this perpetual motion creates a universal vocabulary of patterned movement. As a result of her formal experimentation with Equestrian painting, the artist’s thought trajectories in visual articulation, the long mental bouts, become traceable in a rather evidential physical form of handwriting. The oval dynamism here transcends the futurist lust to tame the fleeting moment, the forceful full gallop. Instead, Kapanadze captures the moving subjects through foregrounding vertical brushstrokes or its ephemeral traces concluding in downsloping curves, looking down at the earth, while a representation of any environment employs a straightforward, binary tactic, splitting the sky and land with a soft luminous crust right in the middle. Abstracted serene backgrounds emerge desolate landscapes, which succeed in constructing an ethereal space beyond the confined frame through reduction and erasure. Like the sole free-roaming “spirit horse” (consecrated to the deceased) at Doghi, still harnessed with a saddle, the artist grasps figures via their absence and materiality of the space via particular humidity that fills her canvas.

- Gvantsa Jgushia

Nino Kapanadze (b. 1900, Tbilisi, Georgia) lives and works in Paris, France. Recently her works have been included in the exhibitions at LC Queisser, Tbilisi (2023); Beaux-Arts de Paris, Paris (2023); Basel Social Club, Basel (2023); Super Dakota, Brussels (2023); Studiolo Belleville, Paris (2023); Beaux-Arts de Paris, Paris (2023); PERROTIN, Paris (2023); Le Quai contemporary art space, Monte Carlo (2023); Galerie Mathilde Le Coz, Paris (2022); Le Moulin Des Ribes, Grasse (2022); Andrehn - Schiptjenko, Paris (2022); March Art Project, Paris (2022); Bored Kids at Manis d'Œuvres, Saint - Ouen (2022); Fondation Pernod Ricard, Paris (2022); Sorbonne Artgallery at the Netgallery, Paris (2022)

ნინო კაპანაძე
,,დოღი”
15.07 - 03.09, 2023

გალერეა ელ ცე კვაისარი მოხარულია წარმოგიდგინოთ ,,დოღი”, ნინო კაპანაძის პირველი პერსონალური გამოფენა გალერეასთან თანამშრომლობით, რომელიც მნახველს 15 ივლისიდან უმასპინძლებს. გამოფენაზე წარმოდგენილია პარიზში მოღვაწე ქართველი მხატვრის ბოლოდროინდელი ფერწრული ნამუშევრების ნაწილი, მათ შორის, სერია “დოღის” ფარგლებში შესრულებული ორი დიპტიქი, აკვარელი ქაღალდზე და ლითოგრაფიული ანაბეჭდები, ასევე ორი დამოუკიდებელი ფერწერა, რომლებიც სერიის პარალელურად განვითარდა. გამოფენას გამოძახილად გასდევს სწორედ ამ სერიის სათაური, რომელზე მუშაობაც ხელოვანმა 2021 წელს დაიწყო. გამორჩეულად დამკვირვებლურ მხატვრულ პრაქტიკაში კაპანაძე მახვილად იშველიებს ვიზუალურ და ლიტერატურულ ცნობებს, როგორც უძველესი, კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების ისტორიული ტრადიციებიდან, ასევე სურათის შექმნის თანამედროვე პრინციპებიდან.

„...ნებისმიერ დროს, როცა ვწყვეტთ ხმა ამოვიღოთ და მით უმეტეს, რაიმე დავწეროთ, ვრისკავთ, რომ სულელურად ვჟღერდეთ“, - ამ სიტყვებით ეხმაურება არტისტი პოეტ მარკ სტრენდის კარლ ელდერთან ინტერვიუში გაჟღერებულ ფრაზას თავის საავტორო ესეიში „როგორ დავხატოთ ცხენი“, რომელიც 2022 წელს საჯაროდ წაიკითხა პარიზში, პერნო რიკარის ფონდში. ორაზროვანი მიზეზების გამო, გონებრივი ღონემიხდილობის ჟამს ადამიანი იწყებს საფიქრალთან დაკავშირებული საგნების ბგერა-ბგერად წარმოთქმას, თითქმის პრიმიტიული ან მართა როსლერული მონოტონური ტემპერამენტით. კაპანაძის მონოლოგური სტილის ახსნა-განმარტებითი ნარკვევი, თუ როგორ დავხატოთ ცხენი, ან უფრო მეტიც, რატომ დავხატოთ ცხენი, ანალოგიურად სრულდება ცხენთა მხატვრობის ფანტომების ქრონოლოგიური ჩამონათვლით - ასურული ცხენები, ,,აშურბანიპალის ლომებზე ნადირობა” რელიეფები ნინევიდან, ბერძნული ცხენები, რომაული ცხენები, შუა საუკუნეების ცხენები, ადრეული რენესანსის ცხენები, უჩელოს ,,სან რომანოს ბრძოლა”, გვიანი რენესანსის ცხენები, ჯორჯ სტაბსის ყველა ცხენი, ეჟენ დელაკრუას ,,შტორმისგან შეშინებული ცხენი”, ედგარ დეგას ,,რბოლამდე” და “რბოლებზე”, რაულ დუფის “არაბი მხედარი”, ერიხ ჰეკელის ,,რეიტერი”, აპოლონ ქუთათელაძის ,,თამარ მეფის ლაშქრობა”, სიუზან როტენბერგის ცხენები - ეგზორციზმივით, კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უძველეს მხატვრულ მოტივთან შეეჭიდებამდე.

ნინო კაპანაძის ზემოთ ნახსენებ ფართომასშტაბიან აბსტრაქტულ ნახატებში უახლესი ქართული მხედრული დამწერლობით მოხაზულია სიტყვა დოღი. ორი წინარე დამწერლობის ასომთავრულისა და ნუსხურისგან განსხვავებით, “მხედრულის” (მომდინარეობს მხედრიდან) თავდაპირველი ათვისება მოხდა, როგორც საერო დანიშნულების დამწერლობის. ეს სისტემა საშუალებას აძლევს ადამიანს წეროს კურსივით ან დენადი კონტურით; ამგვარად ასო-ასოდ გაკრული დ ო ღ ი ხდება კაპანაძის საბოლოო გადმოცემის ფორმა ცხოველის ძლიერი ელეგანტურობისა, რომელთა შეჯიბრებაც არაერთხელ უნახავს სოფ. იარაჯულებში მიცვალებულის პატივსაცემად ყოველწლიურად გამართულ სარიტუალო დოღში, თითო უმხედრო მოჭენავე ცხენით (გარდაცვლილისათვის დაკურთხებული). ცხენის მორფოლოგიასა და ალურზე მინიმალურად მიანიშნებს ნაჩქარევი, უხეში შემოხაზულობა, თუმცა ამ უწყვეტ ჟესტში ჩატეული სიმბოლიზმი ქმნის სქემატურ მოძრაობაზე სასაუბრო უნივერსალურ ლექსიკას. საცხენოსნო მხატვრობაში მისი ფორმალური ექსპერიმენტის შედეგად, არტისტის აზროვნების ტრაექტორიები ვიზუალურ არტიკულაციაში, ეს ხანგრძლივი გონებრივი ჭიდილი, ვლინდება ხელნაწერში - მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ფიზიკურ ფორმაში. ოვალური დინამიზმი აქ სცდება ფუტურისტულ ლტოლვას, მოათვინიეროს წარმავალი მომენტი, დაიჭიროს სრული გალოპი, სამაგიეროდ, კაპანაძე აღბეჭდავს მოძრავ საგნებს წინა პლანზე დასმული ვერტიკალური ფუნჯის შტრიხების ან შტრიხთა ეფემერული ნაკვალევის საშუალებით, რომელიც სრულდება მიწისკენ მიშვერილი დაღმავალი მრუდებით; ხოლო ნებისმიერი გარემოს რეპრეზენტაცია ემყარება გადმოცემის პირდაპირ, ორობით ტაქტიკას, სადაც რბილი შუქის მომფენი ქერქი ზუსტად შუაზე ჰყოფს ცას და მიწას. აბსტრაგირებულ მშვიდ ფონზე აღმოცენდებიან მიტოვებული პეიზაჟები, რომლებიც შემცირებისა და წაშლის გზით ახერხებენ შემოსაზღვრული სიბრტყის მიღმა ეთერული სივრცის გამოგონებას. კენტი „სულის ცხენივით“, რომელიც დოღზე თავისუფლად, მაგრამ მაინც უნაგირით შეკაზმული თარეშობს, მხატვარი იხელთებს ფიგურებს მათი დაუსწრებლობით, ხოლო სივრცის მატერიალურობას თავისებური ტენიანობით, რომელიც აჯერებს მის ტილოს.

- გვანცა ჯგუშია

ნინო კაპანაძე (დაბ. 1990, თბილისი, საქართველო) ცხოვრობს და მუშაობს პარიზში, საფრანგეთი. ბოლოს დროს მისი ნამუშევრები გამოიფინა შემდეგ საგამოფენო სივრცეებსა და სახელოვნებო ინსტიტუციებში: LC Queisser, თბილისი (2023); Beaux-Arts de Paris, პარიზი (2023); Basel Social Club, ბაზელი (2023); Super Dakota, ბრიუსელი (2023); Studiolo Belleville, პარიზი (2023); Beaux-Arts de Paris, პარიზი (2023); PERROTIN, პარიზი(2023); Le Quai contemporary art space, მონტე -კ არლო (2023); Galerie Mathilde Le Coz, პარიზი (2022); Le Moulin Des Ribes, გრასი (2022); Andrehn - Schiptjenko, პარიზი (2022); Martch Art Project, პარიზი (2022); Bored Kids at Manis d’Œuvres, სენტ - უენი (2022); Fondation Pernod Ricard, პარიზი (2022); Sorbonne Artgallery at the Netgallery, პარიზი (2022)